კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდის (www.esida.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 19 აგვისტო

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

www.esida.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
61,90%
64,96%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
25,00%
56,50%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
40,00%
31,75%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
38,46%
19,65%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
23,81%
18,20%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
0,00%
0,00%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
100,00%
33,00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
40,00%
17,00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
28,57%
19,00%
0,00%
50,00%
100,00%
150,00%

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს დირექტორის არც ერთი საკონტაქტო რეკვიზიტი: სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები. დირექტორის სახელი, გვარი და ბიოგრაფიული მონაცემები მოიძიება განყოფილებაში „თანამშრომლები“, ხოლო დირექტორის ფოტოსურათი კი განყოფილებაში „სააგენტო“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „თანამშრომლები“. სასურველია ვებ-გვერდზე არსებობდეს ცალკეული (ქვე-)განყოფილება სათაურად „სააგენტოს დირექტორი“, სადაც განთავსდება ზემოთ აღნიშნულ ინფორმაციასთან ერთად, აგრეთვე დირექტორის კომპეტენციის აღწერა და იმ საჯარო თანანმდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან სააგენტოს დირექტორს (სააგენტოს მოქმედი დებულების თანახმად სააგენტოს დირექტორს მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი).

2. სააგენტოს ვებ-გვერდზე არ მოიძიება დირექტორის მოადგილეების ფოტოსურათები და მათი კომპეტენციის აღწერა. მოადგილეების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ კი სახელები, გვარები და ბიოგრაფიული მონაცემები მოცემულია ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „თანამშრომლები“ და განყოფილებაში „სააგენტო“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „თანამშრომლები“, ამასთან, საკონტაქტო რეკვიზიტებიდან მოცემულია მხოლოდ ერთი მოადგილის ელ.ფოსტა. სასურველია ვებ-გვერდზე შეიქმნას ცალკეული (ქვე-)განყოფილება „მოადგილეები“, სადაც არსებულ ინფორმაციასთან ერთად განთავსდება მოადგილეთა ფოტოსურათები, კონპეტენციის აღწერა და საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტა, ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

3. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა, საფოსტო მისამართი (საფოსტო ინდექსზე მითითებით) და ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი.

4. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული დეტალური საქმიანობის ისტორია, ხოლო სააგენტოს შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა მოიძიება ახალ ამბებში, კერძოდ კი სააგენტოს მიერ მისამართის შეცვლის შესახებ ცნობაში, სასურველია აღნიშნული რუკა განთავსდეს განყოფილებაში - „კონტაქტი“:

ახალი ამბები

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ მისამართი შეიცვალა

13.05.2011

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ შეიცვალა იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი.

2011 წლის 16 მაისიდან სააგენტო განთავსდება მისამართზე: ქ.თბილისი, ალექსიძის ქუჩა #1, შენობა ნაგებობა #1, სართული #2 (ყოფილი მათემატიკის ინსტიტუტის შენობა)

5. სააგენტოს მოქმედი დებულების თანახმად განსაზღვრულია სააგენტოს მრავალი მიზანი და ამოცანა, ხოლო ვებ-გვერდზე წარმოდგენილია ხსენებული ინფორმაციის ძალზედ მწირი ჩამონათვალი:



სააგენტოს მიზნებია:
ა) სამინისტროს სისტემაში შემავალი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა, ინვენტარითა და ტექნიკით მომარაგება;
ბ) ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის განვითარება;
გ) თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

6. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება სააგენტოს სტრუქტურული დანაყოფების ჩამონათვალი;

- არ მოიძიება სააგენტოს სტრუქტურული დანაყოფების კომპეტენციის, ფუნქციების და მიზნების აღწერა;

- არ მოიძიება სააგენტოს სტრუქტურული დანაყოფების ხელმძღვანელების ფოტოსურათები, კომპეტენციის აწერა, მათი საკონტაქტო რეკვიზიტები: მისაღებების (თანაშემწეების) სამუშაო ელ.ფოსტები, ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

  ინფორმაცია სააგენტოს სტრუქტურული დანაყოფების ხელმძღვანელობის შესახებ მიმოფანტულია ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში: „თანამშრომლები“ და

განყოფილებაში „სააგენტო“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „თანაშრომლები“. ამასთან, არც ერთ განყოფილებაში არ მოიძიება კანცელარიის უფროსის შესახებ არანაირი ინფორმაცია, ხოლო განყოფილებაში „თანამშრომლები“ არ არის წარმოდგენილი კანცელარიისა და იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელების შესახებ ინფორმაცია.

- არ მოიძიება ცენტრის სტრუქტურული დანაყოფების საკონტაქტო ტელეფონის ნომრები და ელექტრონული ფოსტის მისამართები:



- **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

7. ვებ-გვერდზე არსებული განყოფილება, სათაურად „სკოლის მონაცემთა ბაზა“ არ იხსნება.

სააგენტოს ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს ვაკანსიათა არქივი, სააგენტოს 2011 წლის ბიუჯეტის შესახებ ზოგადი ინფორმაციის გარდა არ მოიძიება არც ერთი ფინანსური ხასიათის მაჩვენებელი, სტატისტიკური მონაცემები, პროექტების არქივი. ამასთან, განყოფილება სათაურად „ვაკანსიები“ შემოიფარგლება მხოლოდ ერთადერთი, 2011 წლის მარტის თვის განცხადებით:

ვაკანსიები პროგრამისტისა და MS SQL სპეციალისტის პოზიციაზე

სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო აცხადებს ვაკანსიებს პროგრამისტისა და MS SQL-ს სპეციალისტის პოზიციაზე.

აუცილებელი მოთხოვნები

პოზიცია: MS SQL-ს სპეციალისტი

1. MS SQLპროგრამირება და ადმინისტრირება;
2. Oracle ადმინისტრირება ჩაითვლება უპირატესობად;
3. .NET ტექნოლოგიებთან (ASP, C#) მუშაობის გამოცდილება ჩაითვლება უპირატესობად;
4. ამოცანის ანალიზის, კრიტიკული შეფასების, საკვანძო და პრობლემური საკითხების დადგენის და მათი გადაწყვეტის უნარი;
5. ამოცანის განსახორციელებლად საჭირო ვადის დადგენა და მისი დაცვის უნარი;
6. რამდენიმე ამოცანაზე პარალელურად მუშაობის უნარი;
7. ორგანიზებულობა, კომუნიკაბელურობა, პუნქტუალურობა, დისციპლინირებულობა, მუშაობის უნარი როგორც გუნდში ასევე დამოუკიდებლად;
8. სამუშაო გამოცდილება შესაბამის სფეროში 2 წელი;
9. ანაზღაურება დამოკიდებულია კვალიფიკაციაზე და უნარებზე.

პოზიცია: პროგრამისტი

1. .NET ტექნოლოგიებთან (ASP, C#) მუშაობის გამოცდილება;
2. WEB სერვისებთან მუშაობის გამოცდილება;
3. HTML, JavaScript, CSS მუშაობის გამოცდილება;
4. JAVA, MS SQL და Oracle-თან მუშაობის გამოცდილება ჩაითვლება უპირატესობად;
5. ამოცანის ანალიზის, კრიტიკული შეფასების, საკვანძო და პრობლემური საკითხების დადგენის და მათი გადაწყვეტის უნარი;
6. ამოცანის განსახორციელებლად საჭირო ვადის დადგენა და მისი დაცვის უნარი;
7. რამდენიმე ამოცანაზე პარალელურად მუშაობის უნარი;
8. ორგანიზებულობა, კომუნიკაბელურობა, პუნქტუალურობა, დისციპლინირებულობა, მუშაობის უნარი როგორც გუნდში ასევე დამოუკიდებლად;
9. სამუშაო გამოცდილება შესაბამის სფეროში 2 წელი;
10. ანაზღაურება დამოკიდებულია კვალიფიკაციაზე და უნარებზე.

თუ თქვენ ხართ მოტივირებული, განვითარებაზე ორიენტირებული, შემოქმედებითი ხედვის პიროვნება და აკმაყოფილებთ განაცხადში მითითებულ მოთხოვნებს, გამოგზავნეთ თქვენი რეზიუმე მისამართზე: **vacancy@esida.ge** არაუგვიანეს **2011 წლის 20 მარტისა.**

გთხოვთ, ელექტრონული წერილის თემაში (Subject) მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება.

[უკან]

ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „ერთიანი გამოცდები“ არსებული ქვე-განყოფილება „კალენდარი/მოვლენები“ ცარიელია. აგრეთვე, განყოფილებაში „სკოლის ვებ-გვერდები“ არ იხსნება სკოლის ვებ-გვერდებზე გადასასვლელი ბმულები. ვებ-გევრდზე არ არსებობს განყოფილება „სამართლებრივი აქტები“.

- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

8. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს დირექტორისა და მისი მოადგილეების გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები, ცნობები დირექტორის ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ. ვებ-ვერდზე ძალზედ მწირად არის წარმოდგენილი ცნობები 2011 წელს უფროსის მონაწილეობის შესახებ ამა თუ იმ ღონისძიებაში .

9. ვებ-გვერდზე არ არსებობს ცალკეული (ქვე-)განყოფილება „სტატისტიკა", სადაც განთავსდებოდა სააგენტოს მიერ შეგროვებული და დამუშავებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია და მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ სააგენტოს საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას.

10. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში და მიმდინარე კვარტალური მოხსენებები/ანგარიშები. აღნიშნული ინფორმაცია სასურველია განთავსდეს ვებ-გვერდზე შესაქმნელ ქვე-განყოფილებაში „წლიური ანგარიში".

11. ვებ-გვერდზე მართალია არსებობს განყოფილება „პარტნიორობა", თუმცა ის შემოიფარგლება მხოლოდ პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდებზე გადასასვლელი ბმულებით. სასურველია მოცემულ განყოფილებაში აგრეთვე განთავსდეს სხვა საჯარო დაწესებულებებთან (საერთაშორისო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან), პოლიტიკურ გაერთიანებებთან, პროფესიულ კავშირებთან და სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთქმედების შესახებ ცნობები.

12. ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება „პროექტები", სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროექტების ჩამონათვალი და მათი შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სააგენტო.

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

13. ვებ-გვერდზე მოცემულია მხოლოდ ორი სამართლებრივი აქტი: სააგენტოს დებულება და შინაგანაწესი, ამასთან სააგენტოს დებულება მოცემულია ძველი მდგომარეობით. სასურველია ვებ-გვერდზე შეიქმნას ცალკეული (ქვე-)განყოფილება „სამართლებრივი აქტები", სადაც განთავსდებოდა სააგენტოს საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის, მინისტრის და სააგენტოს დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტები. სასურველია შესაქმნელ (ქვე-)განყოფილებაში აგრეთვე მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტებიც:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ";

- საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“;
- სააგენტოს საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები;
- საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 7 ივნისის #463 ბრძანებულება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2001 წლის 21 მაისის #37 დადგენილება „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

14. სააგენტოსვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა და ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ზოგად საკითხებთან დაკავშირებულ მიმართვათა საჯარო დაწესებულებაში მიღების წესის აღწერა.

15. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი არანაირი სახის ინფორმაცია სააგენტოს საქმიანობის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის თავისუფლებასთან / საჯარო ინფორმაციის ღიაობასთან: ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და სააგენტოში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

16. სასურველია ვებ-გევრდზე არსებულ (ქვე-)განყოფილებაში „გაფორმებული ხელშეკრულებები“, მოიძიებოდეს აგრეთვე 2011 წელს სააგენტოსა და და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე სააგენტოსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

17. ვებ-გვერდზე არ არსებობს ვაკანსიათა არქივი - განყოფილება, სათაურად „ვაკანსიები“ შემოიფარგლება მხოლოდ ერთადერთი, 2011 წლის მარტის თვის განცხადებით. აგრეთვე, არ მოიძიება საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (სააგენტოს მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

18. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის ინფორმაცია:

- არ მოიძიება სააგენტოსათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ყოველწლიური ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება სააგენტოს ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების/ ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სააგენტოს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*
http://www.opendata.ge/pdf_files/saganm.infrastruqtura_budget0001.pdf*);*

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება სააგენტოს სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“***

ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი", საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე), ადმინისტრაციისა და სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასებისა და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სააგენტოს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/saganm.infrastruqtura_xelfasi0001.pdf);

- არ მოიძიება სააგენტოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სააგენტო;

- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ სააგენტოსთავის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
88,89%
2. ძიება
40,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
50,00%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
25,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
53,33%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0,00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
73,68%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
0,00%
9. ელექტრონული ჩართულობა
0,00%
10. ელექტრონული სერვისები
16,67%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0,00%
12. უსაფრთხოება
66,67%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
41,67%
0
0,2
0,4
0,6
0,8
1

- ## ნავიგაცია

ვებ-გვერდის ნავიგაციას აშკარად პრობლემა აქვს რადგან „სკოლების მონაცემთა ბაზა“ არ მუშაობს:
ბმული: http://www.esida.ge/school-database.html?lang=ka ;

- ## მარტივად აღქმის კრიტერიუმები

წარმოდგენილ სურათზე:



ყველა ტექსტი სხვა და სხვა ბმულია, თუმცა ეს შეუძლებელია შეიტყოს მომხმარებელმა მანამდე, სანამ მაუსს არ მიიტანს რომელიმე ბმულზე. ტექსტში ბმულების გამოყენებისას აუცილებელია დავიცვათ სტანდარტი და ყველა ბმულს (CSS ენის დახმარებით) გავუწეროთ ფორმატი: Underline (ანუ ხაზგასმული). ამის შემდეგ ყველა ბმული იქნება ხაზგასმული და შესაბამისად მომხმარებელი ადვილად მიხვდება რომელია ბმული და რომელი ტექსტი;
ვებ-გვერდის ტექსტის დაშორება გარემოსთან აუცილებლად უნდა იყოს 2 პიქსელი ან მეტი, თუ ამ კრიტერიუმს ვებ-გვერდი არ იცავს, კონტენტი საკმაოდ უხეშად ჩანს:

ვებ-გვერდზე სააგენტოს სტრუქტურა წარმოდგენილია სურათის სახით, სადაც ტექსტი საკმაოდ პატარა ზომის ფონტით არის მოცემული:



ეს სქემა აღსაქმელად რთულია, ინფორმაციის წარმოჩენა საჭიროა უფრო მკვეთრად და დიდი შრიფტით;

- **საკონტაქტო ფორმები და წესები**

საკონტაქტო ფორმებს ჭირდებათ, დამცავი კოდი. ამით ადმინისტრატორი აიცილებს თავს „სპამისგან“ (მასობრივი ელ.ფოსტის დაგზავნა):



- **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

კატეგორია: „სკოლების მონაცემთა ბაზა“ არ მუშაობს:



- **ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან**

სოციალურ ქსელებთან ინტეგრაცია ოფიციალურ ვებ-გვერს საერთოდ არ გააჩნია;

- **უსაფრთხოება**

როგორც გამზადებულ ძრავებს ჩვევიათ, ამ ვებ-გვერდზეც შეიმჩნევა უსაფრთხოების კუთხით ხარვეზები:



Robots.txt-ში არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს კონტროლ პანელის მისამართი მითითებული ამ ინფორმაციის შემდეგ ადვილად მისაგნებია ადინ პანელის მისამართი:

- **დამატებითი პარამეტრები**

ვებ-გვერდის სკოლების სიაშია არც ერთი ბმული არ ფუნქციონირებს, ან ყველა ბმული კორექტულია და არც-ერთი სკოლის ვებ-გვერდი არ იხსნება, ნებისმიერ შემთხვევაში ვებ-გვერდში მსგავსი შეცდომა გამოსწორებული უნდა იყოს:

რაც შეეხება კონტენტის მართვას, ვებ-გვედში HTML TABLE-ის, ანუ ხაზოვანი ცხრილების გამოყენება საკმაოდ ძველ მეთოდია და არა ესთეტიურია:

განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემა

14.06.2011

სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს, საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №63/ნ ბრძანებით „განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების მკაცრი აღრიცხვის ფორმების გამოყენების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გაცემისა და საფასურის განსაზღვრის წესის შესახებ" **დადგინდა ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემისათვის გაწეული მომსახურების და გაწეული დაჩქარებული მომსახურების საფასური** და **მომსახურების ვადები**, რომლის გადახდაც შესაძლებელია შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე:

მიმღები	მიმღები: სსიპ საქართველოს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
	მიმღების IBAN ანგარიშის # GE31 BR00 0001 0639 3532 93
მიმღების ბანკი	ს.ს. ბანკი „რესპუბლიკა"
	ბანკის BIC კოდი: REPLGE22

ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდი აწყობილია გამზადებული ძრავის (ვებ-გვერდის სტანდარტული მოდელის) JOOMLA-ას დახმარების, რომელიც თანამედროვე ტენდენციებს საკმაოდ ჩამორჩა და შექმნილია ძველ სტანდარტებზე დაყრდნობით. თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ JOOMLA-ას ვებ-გვერდის მოდელი საკმაოდ ხარისხიანია. აღნიშნული მოდელის ნაკლოვანებებზე საუბრისას პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ მასში არ არის გათვალისწინებელი სოციალურ ქსელებთან ინტეგრაცია, ონლაინ ჩართულობა და სხვა დეტალები.